იურისტის
თანამდებობრივი ინსტრუქცია

ზოგადი დებულებანი

1. იურისტს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სკოლის დირექტორი.
2. იურისტი ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე.
3. მისი სახელფასო სარგო განისაზღვრება ხელშეკრულებით.

უფლებები და მოვალეობები

თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით, სამოქალაქო, ადმინისტრაციული კოდექით, ადვოკატთა შესახებ ეთიკის კოდექსით, სკოლის წესდებით, შპს ,,მომავლის სკოლის“ დირექტორის გამოცემული ბრძანებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იურისტი:
მოქმედებს მხოლოდ და მხოლოდ კანონის მოთხოვნათა იმპერატიული ნორმების დაცვით და უზრუნველყოფს სკოლის იურიდიული დოკუმენტაციის ადმინისტრირება-რევიზირებას. დირექტორის მითითებით უზრუნველყოფს ხელშეკრულებების შედგენას, უწევს იურიდიულ კონსულტაციას სკოლის დირექტორსა და მისი თანხმობით ამავე სკოლის ყველა თანამშრომელს. წარმოადგენს და იცავს სკოლის ინტერესებს სასამართლოში.

დასკვნითი დებულება

1. ინსტრუქცია ამოქმედდეს მისი დამტკიცების დღიდან.
2. იურისტის თანამდებობრივ ინსტრუქციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მომავლის სკოლის დირექტორის ბრძანებით.